GEFF Green Economy Financing Facility

European Bank for Reconstruction and Development

# შეიტანეთ თქვენი წვლილი გარემოს დაცვასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში

მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამის (GEFF) ფინანსური რესურსითა და პროფესიული კონსულტაციით, თქვენი ბიზნესი გახდება უფრო კონკურენტუნარიანი, თქვენი სახლი კი უფრო ეკონომიური.



## რა უნდა იცოდეთ GEFF-ის შესახებ?

- Green Economy Financing Facility (მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროექტი) ანუ GEFF, არის EBRD-ის (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) მიერ ჩამოყალიბებული პროექტი, რომლის მიზანია განავითაროს ეკონომიკა, დაიცვას გარემო და გააჯანსაღოს ბიზნეს და საყოფაცხოვრებო პირობები;

- იგი აწარმოებს საქმიანობას 28 ქვეყანაში, 170-ზე მეტი პარტნიორი საფინანსო ორგანიზაციის მეშვეობით და ოპერირებს EBRD-ის დაფინანსებით, რომელიც 5 მილიარდ ევროს შეადგენს;

- მის მიერ განხორციელებული 218,000 ინვესტიციის შედეგად, $CO_2$-ის წლიური გამოყოფა შემცირდა 9.5 მილიონი ტონით;

- GEFF აფინანსებს მწვანე ინვესტიციებს, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიებზე ზრდადი მოთხოვნის შედეგად სულ უფრო აქტუალურია.

# თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირების უპირატესობები

## სარგებელი თქვენთვის

- ენერგიის, წყლისა და სხვა რესურსების გამოყენების შემცირება თანამედროვე, ენერგოეფექტური და განახლებად ენერგიაზე მომუშავე ტექნოლოგიების საშუალებით
- ოჯახის ბიუჯეტის გაზრდა შესაბამისი ხარჯების შემცირებით
- მოწყობილობების საიმედოობის ზრდა
- მეტი კომფორტი და უძრავი ქონების ხარისხის გაუმჯობესება

## სარგებელი თქვენი ბიზნესისთვის

- ენერგოეფექტურობის ამაღლება თანამედროვე, ენერგოეფექტური და განახლებად ენერგიაზე მომუშავე ტექნოლოგიების დამონტაჟებით
- ენერგიის, წყლისა და სხვა რესურსების სარგებლობისა და მათთან დაკავშირებული ხარჯების შემცირება
- გაუმჯობესებული წარმადობა და აღჭურვილობის საიმედოობა
- პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება და კომპანიის იმიჯის ამაღლება
- მოგებისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა

## სარგებელი მომწოდებლებისთვის

- ბრუნვის ზრდა
- ენერგოეფექტური და განახლებად ენერგიაზე მომუშავე ტექნოლოგიების გაყიდვების/წარმოების ზრდა
- მწვანე ტექნოლოგიებსა და სხვადასხვა ტექნიკურ გადაწყვეტილებებზე მეტი ხელმისაწვდომობა, როგორც კომერციული, ასევე სამომხმარებლო სექტორისთვის

## სარგებელი გარემოსთვის

- ძვირფასი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება
- დაბინძურების შემცირება
- ჯანმრთელი გარემო

## როგორ მუშაობს GEFF?

GEFF-მა შექმნა **ტექნოლოგიის სარჩევი**, ონლაინ რესურსი, სადაც შეტანილია ყველა ის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც შეფასებულია და წინასწარ დამტკიცებულია GEFF-ის ფინანსური მხარდაჭერისთვის.

## GEFF-ის მუშაობის პრინციპი დამყარებულია ორ ძირითად მიდგომაზე

**წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციები**, რომელიც მოცემულია EBRD GEFF-ის ტექნოლოგიის სარჩევში.

მათ აღარ სჭირდებათ დამატებითი ტექნიკური შემოწმება. დაფინანსება ვრცელდება შემდეგ ტექნოლოგიებზე:

- მაცივრები და საყინულეები;
- ცხელი წყლის ავზები;
- ჰაერის კონდიციონერები;
- LED განათება;
- ბუნებრივ აირზე მომუშავე ქვაბები, ბიომასის ქვაბები;
- ტერმოპანის კარ-ფანჯრები;
- შენობის საიზოლაციო მასალები;
- თბური ტუმბოები;
- მზის კოლექტორები;
- მზის ფოტოვოლტაიკური სისტემა;
- ენერგიის აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა;
- წყლის დაზოგვის სისტემები და ტექნოლოგიები;
- სამშენებლო ტექნიკა, მანქანა-დანადგარები;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

**უფასო ტექნიკური კონსულტაციის ფარგლებში შეფასებული ინვესტიციები**

ზოგიერთი მწვანე ინვესტიციის განსახორციელებლად საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა: შესაძლოა მსგავსი ინვესტიციისთვის არ არსებობდეს „წინასწარ განსაზღვრული“ გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში. GEFF-ის ადგილობრივი გუნდი ახორციელებს საექსპერტო კონსულტაციას, მათ შორის ახდენს საინვესტიციო პროექტის ტექნიკურ შესაბამისობაში მოყვანას, რაც განაპირობებს სათანადო მწვანე ინვესტიციის დაფინანსებას GEFF-ის ფარგლებში.

## ტექნოლოგიის სარჩევის გამოყენება

I. **განსაზღვრეთ** საინვესტიციო პროექტი
II. **შეარჩიეთ** შესაფერისი ტექნოლოგია **ტექნოლოგიის სარჩევში**
III. **მიიღეთ დაფინანსება** პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტისგან
IV. **შეიძინეთ ტექნოლოგია** მომწოდებლის ან მწარმოებლისგან
V. **ისიამოვნეთ** გრძელვადიანი ენერგო და სხვა **დანაზოგით**

## პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტები

მონაწილე ფინანსური ინსტიტუტების სრული სია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: ebrdgeff.com/georgia/financing/

“ენერგო ეფექტურობა ამცირებს ხარჯებს, ზრდის კონკურენტუნარიანობას, მხარს უჭერს ენერგოუსაფრთხოებასა და ამცირებს $CO_2$-ის გამოყოფას. ის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, არამარტო ენერგო სექტორისთვის, არამედ ქვეყნის მთლიანი ეკონომიკისთვის”.

**EBRD-ის ენერგოსტრატეგია**

შეკითხვებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ მოგვწეროთ. ჩვენი გუნდი სიამოვნებით დაგეხმარებათ.

GEFF საქართველოში
თამარაშვილის ქ. 13ა | თბილისი, საქართველო
georgia@ebrdgeff.com | +995 32 2290809
www.ebrdgeff.com/georgia

**მხარდამჭერები:**

GREEN CLIMATE FUND

Federal Ministry
Republic of Austria
Finance

